



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'ფ. შენგელია'.

ფრიდონ შენგელია

„---16--“ --05--- 2016 წელი

ეგზ. N2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში N:28/36

სარჩევი

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	3
შესავალი ნაწილი	5
აუდიტის მიზანი	5
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	7
თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტები	7
განხორციელებული შესყიდვები	10
აუდიტის შედეგები	10
შესყიდვების პროცესის ნაკლოვანებები	10
საგზაო სამუშაოები	14
ავტომანქანების შეძენა	14
პოლიეთილენის მილების გამოყენება	15
კომპიუტერების შეძენა	15
მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ები და ა(ა)იპ-ები	16
შრომის ანაზღაურება და შტატები	18
საწვავის ხარჯი	19
საკრებულოს წევრების ხარჯები	20
წარმომადგენლობითი ხარჯები	20
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობა	21
სოციალური დახმარების პროგრამა	21
იჯარები	26
ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება	26
არასწორად კლასიფიცირებული ხარჯები	27
დასუფთავების მოსაკრებელის ადმინისტრირება	27
შიდა აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოები	28

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

- 2014 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ, სოფლებში ჭებისა და წყალსადენების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გარკვეული ხარვეზებითა და უზუსტობებით შედგენის შედეგად სპს - „თორთლაძე და კომპანიისათვის“, ზედმეტად ანაზღაურებულია 3.1 ათასი ლარი. (გვ.11)
- 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტს რიგ შემთხვევაში არ აქვს გამოყენებული, მიმწოდებლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულებისათვის, პირგასამტეხლოს სახით 170.0 ათას ლარზე მეტის დარიცხვის შესაძლებლობა. (გვ.12)
- 2014 წელს ქ. თერჯოლაში ლესელიძის, 9 აპრილის და ოთხი ძმის ქუჩებზე, მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულია ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 729.1 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ წყალმომარაგების კომპანიამ საგზაო სამუშაოების დაწყებამდე, წერილობით აცნობა თერჯოლის გამგეობას, რომ 2014 წლის ივნისიდან, ქსელის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ამორტიზებული მილების შეცვლა, გამგეობის მიერ ასფალტბეტონის სამუშაოები შესრულებულია წყალგაყვანილობის სამუშაოების დაწყებამდე. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ახლად დაგებული ასფალტის საფარი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. (გვ.14)
- 2015 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში კლდიაშვილისა და რობაქიძის ქუჩებზე მოწყობილია სანიაღვრე არხები, რომლის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა 2014 წელს დაგებული ასფალტბეტონის საფარი, ღირებულებით 38.0 ათასი ლარი. სანიაღვრე არხების მოწყობამდე გზების ასფალტირების სამუშაოების ჩატარება მიანიშნებს საგზაო სამუშაოების დაგეგმვისა და პროექტირების ხარვეზებზე. (გვ.15)
- 2014-2015 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია 2 ავტომანქანა - „ფორდ ტრანზიტი“, ღირებულებით 34.7 ათასი ლარი და „მიცუბიში პაჯერო“, ღირებულებით 30.0 ათასი ლარი. ავტომანქანები შეძენიდან მოკლე პერიოდში გამოსულია მწყობრიდან და მათ შეკეთებაზე გახარჯულია - „მიცუბიში პაჯერო“ - 10.0 ათასი ლარი (ღირებულების 33%), „ფორდ ტრანზიტი“ - 15.9 ათასი ლარი (ღირებულების 46%). ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ავტომანქანა „მიცუბიში პაჯეროს“ შეძენიდან სამი თვის განმავლობაში ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის ხარჯები უნდა აენაზღაურებინა მიმწოდებელს. მიუხედავად ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნისა, ავტომანქანის შეძენიდან პირველ სამ თვეში, გამგეობის მიერ რემონტზე გაწეულია 2.1 ათასი ლარის ხარჯი. (გვ.15)
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელს შეძენილი პოლიეთილენის მილების გამოყენება დოკუმენტურად დასაბუთებულია მხოლოდ 32.3 ათას ლარზე, ხოლო 16.2 ათასი ლარის ღირებულების ხარჯვის დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს, ნაშთად ერიცხებოდა 2010-2013 წლებში შეძენილი პოლიეთილენის მილები, საერთო ღირებულებით 7.0 ათასი ლარი. გამგეობამ ასევე ვერ წარმოადგინა აღნიშნული მილების გამოყენების ან მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გადაცემის დოკუმენტაცია და არც მათი ადგილსამყოფელის შესახებ ფლობს ინფორმაციას. შედეგად, გაურკვეველია რამდენად კანონიერად და მიზნობრივად არის გამოყენებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ნაშთად რიცხული 23.2 ათასი ლარის ღირებულების პოლიეთილენის მილები. (გვ.16)

- 2015 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის სარგებლობისათვის, გადაუდებელი აუცილებლობით შეძენილია 2 ცალი პლანშეტური კომპიუტერი, საერთო ღირებულებით - 1.7 ათასი ლარი. (გვ.16)
- მუნიციპალიტეტის შპს-ები გამგეობაში არ წარადგენენ წლიურ ანგარიშებს. მათზე დაყრდნობით გამგეობამ უნდა განიხილოს მათი წლიური შედეგები, გააანალიზოს და შეაფასოს საქმიანობა. აღნიშნული ხარვეზი მიუთითებს მუნიციპალიტეტის მხრიდან კონტროლის მექანიზმების არარსებობაზე. შედეგად, მათ მიერ ფინანსური წელი დასრულებულია ზარალით ან უმნიშვნელო მოგებით (200 ლარამდე). (გვ.16)
- 2014 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 8, ხოლო 2015 წელს 7 არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული აქვთ 7671.8 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 32%-ს შეადგენს. მიღებული სუბსიდიების მეტი წილი (74%) გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე. მიუხედავად ა(ა)იპ-ების რაოდენობის შემცირებისა, 2015 წელს გაზრდილია მათი დაფინანსება 1203.3 ათასი ლარით, ხოლო მომუშავეთა რაოდენობა 2014-2015 წლებში 144 პირით. აღსანიშნავია, რომ საშტატო რიცხოვნობის ზრდის აუცილებლობა გამგეობის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული. (გვ.17)
- 2014-2015 წლებში შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 3 535.4 ათასი ლარი, მათ შორის, პრემიის სახით 429.7 ათასი ლარი. 2014 წლის ბოლოსათვის, მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრებოდა 139 ერთეულით. 2015 წელს სახანძრო სამსახური გადავიდა სახელმწიფო მმართველობაში, რის გამოც საშტატო რიცხოვნობა შემცირებულია 32 ერთეულით. მიუხედავად ამისა, საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის დადგენილებით, თანამშრომელთა რიცხვი გაზრდილია 49 ერთეულით, მათ შორის, 48 ერთეულით გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტთა რაოდენობა. (გვ.19)
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით. მიუხედავად ამისა, 2014 წელს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე ნაღდი ანგარიშსწორებით გაცემულია შრომის ანაზღაურება - 317.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მოიცავს ყველა თანამშრომელზე 2014 წლის აპრილში გაცემულ პრემიას, თანხით 140.3 ათასი ლარი და ასევე, წლის განმავლობაში ხელფასის სახით გაცემულ თანხას 177.2 ათასი ლარის ოდენობით. (გვ.20)
- 2015 წელს შვებულებაში გასულ მუნიციპალიტეტის სამ თანამშრომელზე წინასწარ გაცემულია შრომის ანაზღაურების თანხა. შვებულებაში გასვლიდან მოკლე პერიოდში, ისინი ბრძანებით გამოძახებული იყვნენ სამსახურში სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად. გამოძახებულ თანამშრომლებზე კვლავ დარიცხულია შრომის ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3 ათასი ლარი არის ზედმეტად არის გაცემული. (გვ.20)
- 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტში დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეებზე შრომითი გასამრჯელოს სახით გაცემულია 186.0 ათასი ლარი, მათ შორის, პრემიის სახით 22.6 ათასი ლარი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნულია ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. ფაქტობრივად კი, წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ მათი აყვანა ხდება მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, სპეციალისტის უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად. (გვ.20)
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის მიხედვით, თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის რეკომენდებული იყო: 2014 წელს - 6 ავტომანქანა, 2015 წელს - 7 ავტომანქანა. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ არ არის გათვალისწინებული აღნიშნული რეკომენდაცია. (გვ.20)

- 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებსა და თანამდებობის პირებზე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე, ხარჯების ანაზღაურების სახით გაცემული თანხა, სულ შეადგენს 182.0 ათას ლარს, მათ შორის, 2014 წელს - 32.3 ათას ლარს, 2015 წელს - 149.7 ათას ლარს. (გვ.21)
- სოციალური ღონისძიებების ფარგლებში მოსახლეობისათვის თანხის გაცემისას არ ხდებოდა პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვა. პროგრამის მიხედვით, ბენეფიციარს შეეძლო თანხის მიღება წლის განმავლობაში ერთხელ. მიუხედავად ამისა, ერთსა და იმავე ბენეფიციარზე თანხები გაცემულია რამდენჯერმე. (გვ.23)
- მედიკამენტებით დახმარების პროგრამის მიხედვით, დაფინანსების მისაღებად საჭირო ერთ-ერთ დოკუმენტს წარმოადგენს ექიმის მიერ გაცემული საბუთი (რეცეპტი). მედიკამენტებით დახმარება მუნიციპალიტეტის მიერ ძირითადად გაცემულია შესაბამისი რეცეპტის გარეშე, მხოლოდ ავთიაქიდან ბენეფიციარის მიერ მოტანილი ამონაწერის მიხედვით. (გვ.24)
- მუნიციპალიტეტი ახორციელებს დაზიანებული სახლის მფლობელების ფინანსურ დახმარებას, ასევე უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების დახმარებას. აღნიშნული დახმარებები მოსახლეობაზე გაცემულია საკრებულოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წესის გარეშე. (გვ.25)
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული სათანადო კონტროლის მექანიზმები სარგებლობის უფლებით გაცემული უძრავი ქონებიდან მისაღებ შემოსავლებზე. შედეგად, 2015 წელს დამქირავებლების მიერ გადაუხდელმა თანხამ, პირგასამტეხლოს ჩათვლით, შეადგინა 2.0 ათასი ლარი. (გვ.27)
- შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე თერჯოლის მუნიციპალიტეტის 4 ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, ხოლო 9 ადმინისტრაციულ ერთეულში საბანკო მომსახურებას ახორციელებენ სს „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლები. გარდა შენობებით სარგებლობისა, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება იფარება გამგეობის ხარჯებიდან. (გვ.27)
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელს იხდიან მხოლოდ იურიდიული პირები, ხოლო ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება შესაბამისი სამსახურის მიერ არ ხორციელდება. არსებული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები სრული შემოსავლის მობილიზებას, რომლის ამოღებაც შესაძლებელია შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში. (გვ.29)

შესავალი ნაწილი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2014-2015 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით იქნა გამოვლენილი განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2014-2015 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია არამართლზომიერი ქმედებით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 45.0 ათას კაცს¹. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 19 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს³, რომელიც მოიცავს ქალაქ თერჯოლას და 18 თემს.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება, საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა;
- ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით, წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა და სხვ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტები

საბიუჯეტო კოდექსის თანხმად, ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე დაყრდნობით, 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობები განსაზღვრულია 24 602.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 23 628.4 ათასი ლარით.

ცხრილი №1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტი (ათასი ლარი)

დასახელება	2014 წელი	2015 წელი	ჯამი
შემოსულობები	11426.8	13175.2	24602
შემოსავლები	11396.1	12940.1	24336.2
არაფინანსური აქტივების კლება	30.7	235.1	265.8
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	11032.6	12595.8	23628.4
ხარჯები	6995.9	8276.0	15271.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	4036.7	4213.3	8250.0
ვალდებულებების კლება	0.0	106.5	106.5
ნაშთის ცვლილება	394.2	579.4	973.6

¹ www.nala.ge -ს მონაცემებით.

შემოსულობები


ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობების 99%-ს შეადგენს შემოსავლები, ხოლო 1% - არაფინანსური აქტივების კლებას. შემოსულობები 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, გაზრდილია 1748.4 ათასი ლარით. 2014-2015 წლებში შემოსავლებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით (83%) გამოირჩევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები.

ცხრილი №2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები (ათასი ლარი)

	2014 წელი	2015 წელი	ჯამი
გრანტები	9452.1	10943.9	20396
გათანაბრებითი ტრანსფერი	6289.7	6534.2	12823.9
მიზნობრივი ტრანსფერი	152	152	304
სპეციალური ტრანსფერი	3010.4	4257.7	7268.1

2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის გადასახდელები განსაზღვრულია 23 628.4 ათასი ლარით. გადასახდელების 65% მოიცავს ხარჯებს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 35%-ს. 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, გადასახდელები 1 563.2 ათასი ლარით არის გაზრდილი.

დიაგრამა №2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხარჯები 2014-2015 წლებში (ათასი ლარი)



2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის ხარჯების 23% გაცემულია „შრომის ანაზღაურების“ სახით, „საქონელი და მომსახურება“ - 11%-ია, ხოლო „სუბსიდიები“ - 55%. 2015 წელს სუბსიდიები წინა წელთან შედარებით გაზრდილია 677.8 ათასი ლარით.


ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2014-2015 წლებში „არაფინანსური აქტივების ზრდა“ შეადგენს ბიუჯეტის გადასახდელების 35%-ს. აღნიშნული მუხლით

დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან ძირითადად განხორციელდა გზების მშენებლობა, წყლის სისტემების მოწყობა, ნაპირსამაგრი სამუშაოები და სხვ.

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოდგენილია 2014-2015 წლების ჯამური მაჩვენებლით.

დიაგრამა №3. 2014-2015 წლების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ათასი ლარი)



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2014-2015 წლების ბიუჯეტის გადასახდელებში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 25%. ბიუჯეტის 19% მიმართულია საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების, 17% - განათლების, ხოლო 14% - დასვენების, კულტურისა და რელიგიის დასაფინანსებლად. დანარჩენი თანხა კი გადანაწილებულია ეკონომიკური საქმიანობის (9%), გარემოს დაცვისათვის (6%) და სხვა საქმიანობის დასაფინანსებლად.

ნაშთის ცვლილება

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტი ფლობდა თავისუფალ ნაშთს 472.3 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა 2014 წლის ბიუჯეტით. მიუხედავად ამისა, 2014 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ (მატებამ) შეადგინა 394.2 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 867.7 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა მომდევნო წელს. 2015 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 579.4 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა - 1447.1 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტმა ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

განხორციელებული შესყიდვები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2014-2015 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტებისათვის საჭირო სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელებულია 236 გამარტივებული შესყიდვის, 120 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, 34 ელექტრონული ტენდერისა და 11 კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით.

ცხრილი № 3. 2014-2015 წლების სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვის საშუალება	2014 წელი		2015 წელი		ჯამი	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
<i>გამარტივებული შესყიდვა</i>	105	1001718	131	784467.46	236	1786185.46
<i>გამარტივებული ელექტრონული ტენდერი</i>	42	497457.46	78	2701459.73	120	3198917.19
<i>ელექტრონული ტენდერი</i>	23	2534654.9	11	1277051.28	34	3811706.18
<i>კონსოლიდირებული ტენდერი</i>	6	99871	5	144097.67	11	243968.67

აუდიტის შედეგები

შესყიდვების პროცესის ნაკლოვანებები

- სპს - „თორთლაძე და კომპანია“

2014 წლის 10 ივნისს თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და სპს „თორთლაძე და კომპანიას“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭებისა და წყალსადენების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს, ღირებულებით - 48.0 ათასი ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია გარკვეული ხარვეზებით და უზუსტობებით. კერძოდ: 1. სოფელ ღვანკითში, ბუსკივადების უბანში უნდა გაკეთებულიყო ორი ერთი და იმავე მოცულობისა და ღირებულების ჭა, ხოლო ხარჯთაღრიცხვაში მოცემულია მხოლოდ ერთი ჭის ღირებულება². 2. გეგმური მოგება 6% დაანგარიშებულია შეცდომით და ნაცვლად 2.5 ათასი ლარისა, დარიცხულია 7.3 ათასი ლარი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხელშეკრულების რეალური ღირებულება შეადგენს 44.6 ათას ლარს.

შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების შესწავლისას გამოვლინდა, რომ შემსრულებელს მუნიციპალიტეტთან შეთანხმებისა და

² ხარჯთაღრიცხვაში ნაცვლად 2.6 ათასი ლარისა, დაანგარიშებულია 1.3 ათასი ლარი.

ხარჯთაღრიცხვაში კორექტირების გარეშე გაზრდილი აქვს შესრულებული სამუშაოების ერთეულის ფასები. შედეგად კი, წარმოდგენილი ფორმა №2-ის თანახმად, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 47.7 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ სოფლებში ჭებისა და წყალსადენების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე ზედმეტად ანაზღაურებულია 3.1 ათასი ლარი.

- გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები

2014-2015 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოებზე გაფორმებულია ოთხი ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 29.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა - 2.0 ათასი ლარი. სხვა უფლება-მოვალეობებთან ერთად, აღნიშნული სამუშაოების შესრულება, გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში ევალება ა(ა)იპ - „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს“³. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ, გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები შესყიდულია სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტებიდან, გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში.

ვადის გაგრძელებები და სანქციების გამოუყენებლობა

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევის შემთხვევები, რომელთა გათვალისწინება შესაძლებელი იყო ხელშეკრულების გაფორმებამდე. კერძოდ:

✓ 2014 წლის 23 აპრილს შპს „ბორანთან“ გაფორმებულია №58 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ქ. თერჯოლაში ოთხი ძმის ქუჩის ასფალტირებას, ღირებულებით 211.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2014 წლის 30 ოქტომბრამდე. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 30 ოქტომბერს ხელშეკრულებაში შესულია ცვლილება, რომლის თანახმად, აღნიშნულ ქუჩაზე წყალგაყვანილობის მილის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების მიზეზით, სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 30 დეკემბრამდე, ხოლო ფაქტობრივად დასრულებულია 2 დეკემბერს.

✓ 2015 წლის 8 ივლისს შპს „საპოვნელასთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება №111, ღირებულებით 177.4 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობას. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 8 სექტემბერს, ხოლო კლიმატური პირობებისა და წყალსადენის მილის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო, დასრულების ვადა გაგრძელებულია 30 სექტემბრამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, გამგეობისათვის წინასწარვე იყო ცნობილი წყლის მილების სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდის შესახებ, შესაბამისად, გამგეობას შეეძლო მისი გათვალისწინება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მიმწოდებელს ვადა გაუგრძელდა, რათა არ დარიცხვოდა პირგასამტეხლოს თანხა. სამუშაოების ვადაგადაცილებით შესრულებისათვის, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იყო პირგასამტეხლოს სახით დაერიცხა 36.4 ათასი ლარი⁴.

³ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 დეკემბრის №62 განკარგულებით და მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 25 აგვისტოს №372 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის“ წესდების მიხედვით.

⁴ შპს „საპოვნელა“ $177400 \times 0,1\% \times 15 = 2661$ ლარი. შპს „ბორანი“ $211000 \times 0,5\% \times 32 = 33760$ ლარი

2. საანგარიშო პერიოდში ასევე გამოვლინდა სხვადასხვა შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტს შეეძლო მიმწოდებლისათვის დაეკისრებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, რაც არ განუხორციელებია:

✓ 2014 წლის 19 ივნისს გაფორმებული №94 ხელშეკრულებით, შპს „მშენებელი-2003-ს“ დაევალა ქ. თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობა, ღირებულებით - 29.3 ათასი ლარი. გამგეობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებებისა და კლიმატური პირობების მოტივით, მიმწოდებელს ვადა გაუგრძელდა 10 დღით. გარდა ამისა, 2014 წელს „მუნიციპალიტეტში შექმნილი ფორსმაჟორული სიტუაციის გამო“, 4 მიმწოდებლისათვის⁵ ხელშეკრულებით (საერთო ღირებულებით - 526.3 ათასი ლარი) სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელებულია 25-50 დღემდე. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ვადის გაგრძელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტში 2014 წელს განხორციელებული საკადრო ცვლილებებით. აღსანიშნავია, რომ ფორსმაჟორული სიტუაცია დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დაუძლეველ მოვლენას, გარემოებას, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია. შესაბამისად, მოყვანილი გარემოება ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია, რათა არ დაერიცხა პირგასამტეხლოს თანხა. სამუშაოებზე ვადის გაგრძელების ნაცვლად, მუნიციპალიტეტს პირგასამტეხლოს სახით შეეძლო დაერიცხა 80.0 ათას ლარზე მეტი.

✓ 2015 წლის 27 ივლისს თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს WORLD GLOBAL ALLIANCE-ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მოწყობას ბეტონის საფარით, ღირებულებით 174.5 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, შესასრულებელი პირობების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს, რომელიც არ შეასრულებდა აღებულ ვალდებულებას, ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა 20%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები მიმწოდებლის მიერ შესრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, შპს WORLD GLOBAL ALLIANCE-მა შეასრულა მხოლოდ 65.5 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. შედეგად, 2015 წლის 17 ნოემბერს ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა. აღსანიშნავია, რომ გამგეობის მიერ არ იქნა გამოყენებული, პირგასამტეხლოს სახით, მთლიანი ღირებულების 20%-ის დარიცხვის შესაძლებლობა, რომელიც 34.9 ათასი ლარს შეადგენს.

✓ ქ. თერჯოლაში კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე, 2014 წლის 11 მარტს შპს „სფინქსთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება №42, ღირებულებით 145.0 ათასი ლარი. კონტროლის ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამუშაოები შესრულებულია გარკვეული ხარვეზებით, რომლის გამოსასწორებლად მიმწოდებელს მიეცა ვადა 5 ივნისამდე, ანუ გაგრძელდა 24 დღით. აღსანიშნავია, რომ გამგეობას არ გამოუყენებია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დარიცხვის შესაძლებლობა, რომლის გამოყენების შემთხვევაში შპს „სფინქსს“ უნდა დარიცხვოდა 17.4 ათასი ლარი⁶.

✓ 2015 წლის 27 ივლისს თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს „თ.ბ-კაპიტალს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება სოფელ ახალ თერჯოლაში საბავშვო ბაღის მშენებლობაზე, ღირებულებით 205.2 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადა შეცვლილია 2-ჯერ და საბოლოო ვადად განსაზღვრულია 2015 წლის 29 ნოემბერი. კონტროლის ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამუშაოები შესრულებულია გარკვეული ხარვეზებით, რომლის გამოსასწორებლად მიმწოდებელს მიეცა ვადა 5 დღით. აღნიშნულის მიუხედავად, სამუშაოები დასრულდა 12 დღით ვადის დარღვევით. აღსანიშნავია, რომ

⁵ ს/ს „იბერია21“, შპს „საპოვნელა“, ი/მ „გრიგოლ ბერეკაშვილი“, ი/მ „ბეჟან ზარნაძე“.

⁶ $145000 \times 0,5\% \times 24 = 17400$ ლარი

გამგეობას არ გამოუყენებია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დარიცხვის შესაძლებლობა, რომლის გამოყენების შემთხვევაში შპს „თ.ბ-კაპიტალს“ უნდა დარიცხვოდა 2.4 ათასი ლარი⁷.

- ექსპერტიზის დასკვნები

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, საგზაო სამუშაოების შესრულებისას, მიმწოდებელს ხელშეკრულებით მოეთხოვება ექსპერტის დასკვნის წარდგენა შესრულებული სამუშაოს ხარისხის დასადასტურებლად. აღნიშნული მოთხოვნა მიმწოდებლების მხრიდან შესრულებულია რიგი ხარვეზებით:

✓ 2014-2015 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში შესრულებულია 4 566.0 ათასი ლარის საგზაო სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ასფალტბეტონის ხარისხის დასადგენად, ექსპერტი ეყრდნობოდა მიმწოდებლის მიერ წარდგენილ ასფალტის ნიმუშებს, ხოლო მისი ამოჭრის ადგილი და ნიმუშების რაოდენობა არ არის მითითებული.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებობს რისკი, რომ მიმწოდებლების მიერ საექსპერტო ლაბორატორიებში წარდგენილი ასფალტბეტონის ნიმუშები არ იყოს გზებზე დაგებული საფარის იდენტური. ამრიგად, შესაძლებელია შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს. შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას საგზაო სამუშაოებისა და მასზე გაწეული დანახარჯების შესაბამისობის შესახებ.

✓ 2014 წლის 13 მარტს გამგეობასა და შპს „ბორანს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, ღირებულებით 190.0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ასფალტიანი გზების მოვლა-შეკეთებას. ხელშეკრულების მიხედვით, შემსყიდველს უნდა დაეკავებინა შესრულებული სამუშაოების 5%, რომლის 2,5% მიმწოდებელს აუნაზღაურებოდა დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, ხოლო 2,5% საგარანტიო ვადის (2 წელი) გასვლის შემდეგ. ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნის მიუხედავად, მთლიანი თანხის 2,5% (4.7 ათასი ლარი) გამგეობის მიერ ანაზღაურებულია საექსპერტო დასკვნის მიღების გარეშე.

რეკომენდაცია:

- სამუშაოების დასრულების ვადების დაგეგმვისას, გამგეობამ მიზანშეწონილია მაქსიმალურად გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორები და პირობები, რომლებმაც შესაძლებელია ნეგატიური ზეგავლენა იქონიონ დროულ დასრულებაზე, ხოლო ვადის გაგრძელება განხორციელდეს მხოლოდ სათანადო და ობიექტური დასაბუთების შემთხვევაში.
- მიმწოდებლების მიერ სამუშაოების დასრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ გამგეობამ გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, პირგასამტეხლოს დარიცხვის შესაძლებლობა.
- საგზაო სამუშაოების შესყიდვისას, მიზანშეწონილია გამგეობა დაეყრდნოს ექსპერტიზის იმ დასკვნებს, რომელიც ეფუძნება დაგებული ასფალტბეტონის საფარიდან, უშუალოდ ექსპერტის მიერ მოპოვებულ ნიმუშებს.

⁷ 205199*0,1%*12=2462.39 ლარი

საგზაო სამუშაოები

- 2014 წელს ქ. თერჯოლაში - ლესელიძის, 9 აპრილისა და ოთხი ძმის ქუჩებზე, მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულია ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 729.1 ათასი ლარი⁸. წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაირკვა, რომ აღნიშნულ ქუჩებზე განთავსებულია შიდა საქალაქო წყალმომარაგების ქსელი, რომელიც იმ პერიოდში ამორტიზებული იყო და საჭიროებდა რეაბილიტაციას. წყალმომარაგების კომპანიამ საგზაო სამუშაოების დაწყებამდე, წერილობით აცნობა თერჯოლის გამგეობას, რომ 2014 წლის ივნისიდან, ქსელის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ამორტიზებული მილების შეცვლა. მიუხედავად აღნიშნულისა, გამგეობის მიერ ასფალტბეტონის სამუშაოები შესრულებულია წყალგაყვანილობის სამუშაოების დაწყებამდე.

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განხორციელებულია წყლის მილების გამოცვლა, რომლის შედეგად ახლად დაგებული ასფალტის საფარი⁹ მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. მუნიციპალიტეტს შეეძლო გაეთვალისწინებინა წყალმომარაგების კომპანიის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები და მოეხდინა გზის რეაბილიტაციის გადავადება წყლის მილების შეცვლამდე.

- 2015 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში კლდიაშვილისა და რობაქიძის ქუჩებზე მოწყობილია სანიაღვრე არხები, რის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა 2014 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით დაგებული ასფალტბეტონის საფარი, ღირებულებით 38.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სანიაღვრე არხების მოწყობის საჭიროება გამოიწვია ძლიერმა წვიმებმა, რომლის შედეგად მოსულმა უხვმა ნალექმა დატბორა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები. გამგეობის შესაბამის სამსახურებს, საგზაო სამუშაოების დაგეგმვისას, შეეძლოთ წინასწარ გაეთვალისწინებინათ სანიაღვრე არხების საჭიროება. გზების ასფალტირების სამუშაოების ჩატარების შემდეგ, სანიაღვრე არხების მოწყობა მთანხმებს საგზაო სამუშაოების დაგეგმვისა და პროექტირების ხარვეზებზე.

რეკომენდაცია:

- საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნით, საჭიროა მომავალში გამგეობამ სხვა სამსახურებთან ერთად კოორდინირებულად შეიმუშაოს განსახორციელებელი სამუშაოების გეგმა და მათი შესრულება განხორციელდეს შესაბამისი თანმიმდევრობით.

ავტომანქანების შეძენა

2014-2015 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია 2 ავტომანქანა - „ფორდ ტრანზიტი“- (MII-352), ღირებულებით 34.7 ათასი ლარი და „მიცუბიში პაჯერო“ -(TE-041-RJ), ღირებულებით 30.0 ათასი ლარი¹⁰. მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, გამგეობას მიღება-ჩაბარების აქტები უნდა გაეფორმებინა, ავტოტექნომსახურების ცენტრის მიერ ავტომანქანის ტექნიკური გამართულობის დადასტურების შემდეგ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შესრულებული. ავტომანქანები შეძენიდან მოკლე

⁸ ლესელიძის ქუჩა-289.3 ათასი ლარი, 9 აპრილის ქუჩა-228.8 ათასი ლარი, ოთხი ძმის ქუჩა-211.0 ათასი ლარი.

⁹ ასფალტის დაგებიდან მოკლე პერიოდში (2-3 თვე).

¹⁰ 2014 წლის 3 აპრილის №53 ხელშეკრულება - მიმწოდებელი შპს „ლევანი 2013“ და 2015 წლის 21 იანვრის №9 ხელშეკრულება - მიმწოდებელი ი/მ „ვალერიან შეილაძე“.

პერიოდში გამოსულია მწყობრიდან და მათ შეკეთებაზე გახარჯულია - „მიცუბიში პაჯერო“ - 10.0 ათასი ლარი (ღირებულების 33%), „ფორდ ტრანზიტი“ - 15.9 ათასი ლარი (ღირებულების 46%). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ავტომანქანა „მიცუბიში პაჯეროს“ შეძენიდან სამი თვის განმავლობაში ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის ხარჯები უნდა აენაზღაურებინა მიმწოდებელს. მიუხედავად ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნისა, ავტომანქანის შეძენიდან პირველ სამ თვეში, გამგეობის მიერ რემონტზე გაწეულია 2.1 ათასი ლარის ხარჯი.

პოლიეთილენის მილების გამოყენება

2014 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია პოლიეთილენის მილები, ღირებულებით 48.5 ათასი ლარი. მიღებული მილების გამოყენება დოკუმენტურად დასაბუთებულია მხოლოდ 32.3 ათას ლარზე, ხოლო 16.2 ათასი ლარის ღირებულების ხარჯვის დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს, ნაშთად ერიცხებოდა 2010-2013 წლებში შეძენილი პოლიეთილენის მილები, საერთო ღირებულებით 7.0 ათასი ლარი. გამგეობამ ასევე ვერ წარმოადგინა აღნიშნული მილების გამოყენების ან მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გადაცემის დოკუმენტაცია და არც მათი ადგილსამყოფელის შესახებ ფლობს ინფორმაციას. შედეგად, გაურკვეველია რამდენად კანონიერად და მიზნობრივად არის გამოყენებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ნაშთად რიცხული 23.2 ათასი ლარის ღირებულების პოლიეთილენის მილები.

რეკომენდაცია:

- მატერიალური ფასეულობის გადაცემის შემთხვევაში, გამგეობამ საჭიროა მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებზე და განახორციელოს კონტროლი გადაცემული ფასეულობის გამოყენებაზე.

კომპიუტერების შეძენა

2015 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის სარგებლობისათვის, გადაუდებელი აუცილებლობით, შეძენილია 2 ცალი პლანშეტური კომპიუტერი, საერთო ღირებულებით 1.7 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, კომპიუტერების დაჩქარებულად შეძენის აუცილებლობა წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ 2015 წლის ივნისიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ჩაერთო ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში, რომლის შედეგად, სწრაფი და ეფექტური მმართველობითი ფუნქცია-მოვალეობის განხორციელებისათვის საჭირო გახდა აღნიშნული კომპიუტერების შეძენა. შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქვეყნის სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას¹¹.

ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლა თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოადგენდა მოულოდნელ და დაუგეგმავ მოვლენას. შესაბამისად, თანმდევი ტექნიკის

¹¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

შეძენა უნდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული და შეძენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ები და ა(ა)იპ-ები

თერჯოლის მუნიციპალიტეტი ფლობს 16 შპს-ს, მათ შორის, სოფლებში არსებულ 14 სამედიცინო ამბულატორიას.

მუნიციპალიტეტის შპს-ები შემოსავლებს იღებენ როგორც თვითმმართველობის დაკვეთით შესრულებული სამუშაოებიდან და მომსახურებიდან, ასევე სხვა კერძო სუბიექტებთან არსებული გარიგებებიდან. შპს-ები მუნიციპალიტეტში არ წარადგენენ წლიურ ანგარიშებს, რაზე დაყრდნობითაც მუნიციპალიტეტმა უნდა მოახდინოს მათი წლიური შედეგების განხილვა, ანალიზი და საქმიანობის შეფასება. აღნიშნული ხარვეზი მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არსებობს კონტროლის მექანიზმები. შედეგად, მათ მიერ ფინანსური წელი დასრულებულია ზარალით ან უმნიშვნელო მოგებით (200 ლარამდე).

უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2015 წლებში შპს-ების მიერ მუნიციპალიტეტისათვის არ არის წარდგენილი გრძელვადიანი განვითარების ბიზნესგეგმები და წლიური ფინანსური შედეგების საპროგნოზო მაჩვენებლები. მუნიციპალიტეტის მხრიდან ზემოაღნიშნული მიდგომა ხელს ვერ შეუწყობს შპს-ების განვითარებას, ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას და მისაღები დივიდენდების ზრდას.

- ✓ მუნიციპალიტეტი არ ფლობს კომერციული საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული შპს „ავტოსადგურის“ შესახებ, რომელიც ემსახურება როგორც შიდა, ასევე საქალაქთაშორისო გადაზიდვებს. შიდა აუდიტის ანგარიშის მიხედვით, შპს „ავტოსადგურს“ კომერციული საქმიანობისათვის იჯარით აქვს გაცემული ფართი სხვადასხვა პირებზე. წესდების მიხედვით, შპს „ავტოსადგური“ ვალდებულია გამგეობასთან შეათანხმოს ფართების იჯარით გაცემა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულის შესახებ გამგეობა არ არის ინფორმირებული.
- ✓ შპს „თერჯოლას“ მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ევალება მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის დაბეჭდვა და ყოველთვიურად 500 ეგზემპლარის მიწოდება. 2014-2015 წლებში შპს-ს გამგეობისგან სულ მიღებული აქვს 83.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული ფორმით, როგორც ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე სუბიექტთან. მოქმედი კანონმდებლობით¹², ექსკლუზიურ უფლებად არ განიხილება შემთხვევა, თუ ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული თანხა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახულია „სუბსიდიის“ მუხლში.

2014 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 8, ხოლო 2015 წელს - 7 არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული აქვთ 7671.8 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 32%-ს შეადგენს. მიღებული სუბსიდიების მეტი წილი (74%) გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე. მიუხედავად ა(ა)იპ-ების რაოდენობის შემცირებისა, 2015 წელს გაზრდილია მათი დაფინანსება 1203.3 ათასი ლარით, ხოლო მომუშავეთა რაოდენობა 2014-2015 წლებში - 144 პირით. აღსანიშნავია, რომ სამტატო რიცხოვნობის ზრდის აუცილებლობა გამგეობის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული.

¹² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

ინფორმაცია ა(ა)იპ-ებზე გამოყოფილი თანხებისა და შტატების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის შესახებ			
	პერიოდი		
	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
ა(ა)იპ-ის რაოდენობა	8	8	7
გამოყოფილი სუბსიდია (ლარი)	2 750707	3 234286	4 437545
მომუშავეთა რაოდენობა	634	727	778
შრომის ანაზღაურება (ლარი)	2 130241	2 496446	3 173036

სპორტის, განათლების, კულტურისა და მომსახურების სფეროების ა(ა)იპ-ებს სუბსიდიის მისაღებად წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვთ მოთხოვნები, რომლებშიც ძირითადად მითითებულია დაწესებულების შენახვის ხარჯები (შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების ხარჯები), კონკრეტული მიზნებისა და გეგმების გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდია გაცემულია ისე, რომ არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ ღონისძიებაზე რომელ პერიოდში რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს, ასევე არ არის შედგენილი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი და კონტროლი მათ შესრულებაზე. მაგალითად,

- ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს“, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ქუჩების დაგვადასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, კეთილმოწყობა, გარე განათება და სხვ., სუბსიდიის სახით მიღებული აქვს, 2014 წელს - 484.6 ათასი ლარი, 2015 წელს - 1006.3 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით 2015 წელს დაფინანსება გაზრდილია 108%-ით. სუბსიდიის მისაღებად, „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს“ გამგეობაში წარდგენილი აქვს დაფინანსების პროგრამა, რომელიც შედგენილია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ზოგადი მუხლების საფუძველზე, ჯამური თანხების მითითებით. მიუხედავად დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდისა, გამგეობამ დოკუმენტურად ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ა(ა)იპ-ის მიერ დაგეგმილი და განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ¹³.
- ა(ა)იპ „თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის საციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს“ 2014-2015 წლებში სუბსიდიის სახით მიღებული აქვს 375.2 ათასი ლარი, რომლის 88% გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ცენტრში შექმნილია 23 წრე, რომლებშიც გაწევრიანებულია 500-მდე მოსწავლე. აღსანიშნავია, რომ ნაწილი წრეებისა თავისი ფუნქციითა და მიმართულებით, მსგავსი ხასიათისაა, ხოლო გამგეობის მხრიდან არ არის დაწესებული კონტროლი ცენტრში მიმდინარე სასწავლო პროცესებსა და განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე.

¹³ 2015 წელს შეძენილია ორი სატრანსპორტო საშუალება, ღირებულებით 294.8 ათასი ლარი.

- ა(ა)იპ „თერჯოლის კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრს“ 2014-2015 წლებში სუბსიდიის სახით მიღებული აქვს 871.1 ათასი ლარი, რომლის 93% გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე. აღნიშნულ ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 152 პირი, მათ შორის, 42 მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლების¹⁴ წევრები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში, ორი ანსამბლიდან, კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიღებული აქვს მხოლოდ ერთს, ხოლო 2015 წელს 3-მა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო სულ 6 ღონისძიებაში. მიუხედავად ნაკლები აქტივობისა, ანსამბლების წევრები, ხელფასს იღებენ ყოველთვიურად და შრომის ანაზღაურების ფონდმა 2014-2015 წლებში შეადგინა 202.7 ათასი ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობამ და მუნიციპალიტეტმა დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ არსებული ანსამბლები. ასევე, აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „თერჯოლის კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრს“, 2015 წელს დაემატა ტურიზმის განვითარების სამსახური, კოორდინატორების 8 საშტატო ერთეულით, რომლებზეც მიკუთვნებულია ზოგადი ხასიათის უფლება-მოვალეობები.

- 2015 წლის 5 ივნისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი საპოვნელა“, რომლისთვისაც წლის ბოლომდე სუბსიდიის სახით გამოყოფილია 409.3 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მიღებული თანხებიდან სპორტულ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია მხოლოდ 24.6 ათასი ლარი, რაც მთლიანი დაფინანსების 6%-ს შეადგენს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ „საფეხბურთო კლუბი საპოვნელა“ თამაშებს ატარებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში იჯარით აღებულ სტადიონებზე, წლის განმავლობაში მოედნის მოვლაზე გათვალისწინებული იყო 103.2 ათასი ლარის ხარჯი. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი საპოვნელას“ ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურება არაგონივრულად, კერძოდ, 4-ჯერ აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სხვა ა(ა)იპ-ბის ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურებას. კერძოდ, დირექტორის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს 2.7 ათას ლარს, ხოლო აღმასრულებელი დირექტორის 2.5 ათას ლარს.

სუბსიდია წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. მუნიციპალიტეტს სუბსიდიების გაცემა უნდა მოეხდინა თითოეული ა(ა)იპ-ის მიერ კონკრეტულად გაწერილი ღონისძიებების და მათი აქტივობის გათვალისწინებით.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, გამგეობამ შეისწავლოს მისსავე საკუთრებაში არსებული შპს-ების საქმიანობა და გააანალიზოს მათი ფინანსური შედეგები.
- მიზანშეწონილია, გამგეობამ გააანალიზოს ა(ა)იპ-ებში არსებული საშტატო რიცხოვნობის საჭიროება, ასევე, სუბსიდიის ოდენობა განსაზღვროს მათი საქმიანობიდან და კონკრეტული ღონისძიებებიდან გამომდინარე.

შრომის ანაზღაურება და შტატები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დასაქმებული იყო 181 პირი. 2014-2015 წლებში შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია

¹⁴ 2014 წელს ფუნქციონირებდა 2 ანსამბლი (მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები), ხოლო 2015 წელს ფუნქციონირებდა 3 ანსამბლი (მომღერალთა, მომღერალ ქალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები).

3 535.4 ათასი ლარი, მათ შორის, პრემიის სახით 429.7 ათასი ლარი. 2014 წლის ბოლოსათვის, მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრებოდა 139 ერთეულით. 2015 წელს სახანძრო სამსახურის სახელმწიფო მმართველობაში გადასვლასთან დაკავშირებით საშტატო რიცხოვნობა შემცირდა 32 ერთეულით. მიუხედავად ამისა, საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის დადგენილებით თანამშრომელთა რიცხვი გაზრდილია 49 ერთეულით, მათ შორის 48 ერთეულით გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტთა რაოდენობა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით¹⁵, თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით. მიუხედავად ამისა, 2014 წელს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე ნაღდი ანგარიშსწორებით გაცემულია შრომის ანაზღაურება - 317.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მოიცავს ყველა თანამშრომელზე 2014 წლის აპრილში გაცემულ პრემიას, თანხით 140.3 ათასი ლარი და ასევე, წლის განმავლობაში ხელფასის სახით გაცემულ თანხას 177.2 ათასი ლარის ოდენობით.

2015 წელს შვებულებაში გასულ მუნიციპალიტეტის სამ თანამშრომელზე¹⁶ წინასწარ გაცემულია შრომის ანაზღაურების თანხა. შვებულებაში გასვლიდან მოკლე პერიოდში, ისინი ბრძანებით გამოძახებული იყვნენ სამსახურში თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად. გამოძახებულ თანამშრომლებზე კვლავ დარიცხულია შრომის ანაზღაურება, ანუ ერთსა და იმავე პერიოდში გაცემულია თანხის ორმაგი ოდენობა. იქიდან გამომდინარე, რომ შვებულებაში გასვლისას იმ თვის გასამრჯელო თანამშრომლებს აღებული ჰქონდათ წინასწარ, სამსახურში გამოძახების მოტივით ხელფასი ხელმეორედ არ უნდა დარიცხვოდეთ. შესაბამისად, შვებულებიდან გამოძახებულ თანამშრომლებზე გაცემული 3.3 ათასი ლარი¹⁷ წარმოადგენს ზედმეტად გაცემულ თანხას.

2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტში დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეებზე შრომითი გასამრჯელოს სახით გაცემულია 186.0 ათასი ლარი, მათ შორის, პრემიის სახით 22.6 ათასი ლარი. გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული შტატგარეშე თანამშრომლისათვის პრემიის ან სხვა სახის წახალისების გაცემის შესაძლებლობის შესახებ, ხოლო პრემიის გაცემის ბრძანებებში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა შედეგების საფუძველზე გაიცემა აღნიშნული ფულადი წახალისება.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁸ თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. ფაქტობრივად კი, წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ მათი აყვანა ხდებოდა მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, სპეციალისტის უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად.

საწვავის ხარჯი

2014-2015 წლებში საავტომობილო საწვავზე გახარჯულია 135.2 ათასი ლარი. დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში, საწვავი გაცემულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 10 და თანამშრომლების საკუთრებაში მყოფ (დაახლოებით 90 ერთეული) ავტომანქანებზე.

¹⁵ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁶ გიორგი ლილუაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; სოფიო ბუსკივაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; ელისო ჟორჟოლიანი - მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

¹⁷ გიორგი ლილუაშვილი - 1237.5 ლარი; ელისო ჟორჟოლიანი - 791.3 ლარი; სოფიო ბუსკივაძე - 1225 ლარი.

¹⁸ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹⁹ განსაზღვრული წესის მიხედვით, თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის რეკომენდირებული იყო: 2014 წელს - 6 ავტომანქანა, 2015 წელს - 7 ავტომანქანა. ფაქტობრივად, საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ არ არის გათვალისწინებული აღნიშნული რეკომენდაცია. ავტომანქანების რეკომენდირებული რაოდენობის გამოყენების შემთხვევაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვნად დაზოგავდა საწვავ-საპოხი მასალების შეძენაზე გაწეულ ხარჯებს.

საკრებულოს წევრების ხარჯები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისათვის დაწესებული აქვთ ფულადი კომპენსაცია. დადგენილების მიხედვით, ამომრჩევლებთან შეხვედრების, საკრებულოს საქმიანობის განხორციელებისათვის და თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) დადგენილებაში ცვლილებების გათვალისწინებით, ყოველთვიურად განესაზღვრათ 400-700 ლარი, ხოლო ბოლო ცვლილებით - 399 ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებსა და თანამდებობის პირებზე ხარჯების ანაზღაურების სახით საანგარიშო პერიოდში დახარჯული თანხა სულ შეადგენს 182.0 ათას ლარს, მათ შორის, 2014 წელს - 32.3 ათასი ლარი, 2015 წელს - 149.7 ათასი ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხარჯის ანაზღაურება ხორციელდებოდა საკრებულოს განკარგულებით, რომლის საფუძველია საკრებულოს წევრების მონაწილეობა განსაზღვრულ საქმიანობაში. საკრებულოს სხდომებსა და მის საქმიანობაში მიღებული მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ და არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად.

რეკომენდაცია:

- გამგეობამ საკრებულოს წევრების ხარჯები ანაზღაუროს წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, რომელიც იქნება საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება გაწეული ხარჯის დასადასტურებლად.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2014-2015 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან სტუმრების მასპინძლობისა და სხვადასხვა საბანკეტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გაწეულია 32.2 ათასი ლარის ხარჯი. კერძოდ: 2014 წელს გაფორმებულია 13 ხელშეკრულება, ღირებულებით 12.7 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს - 33 ხელშეკრულება, ღირებულებით 19.5 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ დანახარჯის 87%-ს შეადგენს კვების ობიექტის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები. მაგალითად: 2014 წელს მუნიციპალიტეტმა სამჯერ უმასპინძლა სტუმრებს სამხარეო ადმინისტრაციიდან და სარესტორნო მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3.8 ათასი ლარი; 2015 წელს თერჯოლის საფეხბურთო გუნდის უმაღლეს ლიგაში გადასვლასთან დაკავშირებით სარესტორნო მომსახურების ხარჯმა შეადგინა 2.0 ათასი ლარი. ასევე გაწეულია 1.5 ათასი ლარის ხარჯი ფეხბურთის ფედერაციიდან სტუმრების მიღებაზე; 2015 წელს გამგებლების მონაწილეობით რეგიონის გუბერნიის გასვლითი სხდომისთვის კვების ობიექტის მომსახურებამ შეადგინა 2.0 ათასი ლარი.

¹⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება.

რეკომენდაცია:

- ფინანსური რესურსის განაწილების პროცესში ხარჯების დაგეგმვისას, გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა მიზანშეწონილია გაითვალისწინონ ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობა

2015 წლის 11-17 ნოემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტში უხვი ნალექებისა და ქარიშხლით მიყენებული ზიანის შედეგების შესასწავლად შექმნილია „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო კომისია“. კომისიის დასკვნაში, რომელიც შედგენილია 17 ნოემბერს, აღნიშნულია, რომ კომისიის მიერ აღწერილი და დათვლილი იქნა მიყენებული ზარალი, რომლის შედეგად რეაბილიტაციას საჭიროებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდები, ბოგირები, შიდა საუბნო გზები, სანიაღვრე არხები და საცხოვრებელი სახლები, ასევე, აუცილებლობას წარმოადგენდა სოფლებში ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული სამუშაოების საერთო ღირებულებამ დასკვნის მიხედვით შეადგინა - 2258.6 ათასი ლარი. კომისიის და გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ ვერ იქნა დასაბუთებული, თუ რის საფუძველზე იქნა დაანგარიშებული ოქმში დაფიქსირებული ღირებულება. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხა შედგენილია სოფლებში გამგებლის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

2015 წლის 19 ნოემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აცნობა სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს იმერეთის მხარეში, რომ სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა წინასწარი დათვლებით შეადგენდა 2258.6 ათას ლარს, საიდანაც წლის ბოლომდე დაფინანსების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო 558.6 ათასი ლარის ათვისება. გამგეობას გუბერნატორისთვის მიმართული აქვს თხოვნით, რომ ეშუამდგომლა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების გასატარებლად. იმავე წლის 24 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია მოთხოვნილი თანხა -558.6 ათასი ლარი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიყენებული ზარალის ოდენობა მათ მიერ გადამოწმდა 18-28 ნოემბერს, რომლის შედეგად ზარალმა ფაქტობრივად შეადგინა 805.0 ათასი ლარი, რაზეც შესაბამისი ოქმი ან კომისიის დასკვნა არ შედგენილა. აღსანიშნავია, რომ გამგეობას მიღებული ზარალის შემცირების შესახებ, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის არ უცნობებია.

სოციალური დახმარების პროგრამა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2014-2015 წლებში სოციალური ღონისძიებებზე გახარჯულია 1420.9 ათასი ლარი. 2014 წელს 10 პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილებულია 5266 განცხადება, ხოლო 2015 წელს პროგრამების რაოდენობა გაზრდილია 13-მდე და დახმარება მიღებული აქვს 6066 განმცხადებელს. პროგრამების ფარგლებში გაცემული თანხები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

პროგრამის დასახელება	2014 წლის ხარჯი	2015 წლის ხარჯი	სულ
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	326.0	206.7	532.7
მედიკამენტებით დახმარება	65.0	81.8	146.8
საკვები პროდუქტებით დახმარება	50.0	50.0	100.0
სამედიცინო თანადაფინანსება	40.0	147.8	187.8
უსახლკაროდ დარჩენილთა დახმარება	84.7	81.6	166.3
უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების დახმარება ²¹		9.1	9.1
უფასო სასადილო	14.4	2.1	16.5
ახალშობილთა ოჯახების დახმარება	70.9	72.9	143.8
სხვა პროგრამები ²²	31.1	86.8	117.9
სულ:	682.1	738.8	1420.9

პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისათვის დახმარების გაცემის წესს შეიმუშავეს საკრებულო და გამოსცემს განკარგულების სახით. აუდიტის ჯგუფმა მოსახლეობაზე დახმარებების გაცემის მართებულობის შესწავლის მიზნით, მოახდინა თანხის გაცემის წესისა და მუნიციპალიტეტის მიერ დახმარების გაწევაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზი.

აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ ბენეფიციარებზე თანხის გაცემის წესი შეიცავს რიგ ხარვეზებს. პროგრამებში აღწერილია თანხის გაცემისა და ბენეფიციარების შერჩევის ზოგადი მიდგომები და არ მოიცავს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ბენეფიციარმა სოციალური დახმარების მისაღებად.

სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები თავისი არსით გულისხმობს უკიდურესად გაჭირვებული ადამიანების დახმარებას და მათთვის პირველი რიგის საჭიროებების მოგვარებას. იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ პროგრამაში ზოგადად არის განსაზღვრული თანხის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია, ასევე, დაკონკრეტებული არ არის დახმარების მიმღები კონტიგენტი - თუ ვის უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი თანხის გაცემისას, არსებობს რისკი იმისა, რომ გამოყოფილი თანხები განაწილდეს სუბიექტურად.

²⁰ ცხრილში მოყვანილია მონაცემები თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

²¹ ჩაანაცვლა უფასო სასადილოთი მომსახურების პროგრამა.

²² სხვა პროგრამები მოიცავს 2014 წელს - დიალიზისა და სარიტუალ მომსახურების პროგრამას, ინვალიდთა ასოციაციიდან და სარეზერვო ფონდიდან გაცემულ თანხებს. 2015 წელს - დიალიზის, ეპილეფსიის, პარკინსონის, უსინათლოთა და სარიტუალ მომსახურების პროგრამას, ინვალიდთა ასოციაციიდან და სარეზერვო ფონდიდან გაცემულ თანხებს.

პროგრამის მოთხოვნების უგულებელყოფა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული განკარგულებების შესაბამისად, ბენეფიციარზე თითოეული პროგრამიდან თანხის გაცემა შესაძლებელია საბიუჯეტო წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი თანხის გაცემისას არ ახდენდა აღნიშნული პირობის გათვალისწინებას.

ერთი და იმავე ბენეფიციარის მიერ მიღებული დახმარებების რაოდენობა 2014-2015 წლების განმავლობაში ნაჩვენებია ცრილის სახით:

ცხრილი 3. 2014-2015 წლებში ბენეფიციარების დუბლირება

პროგრამის დასახელება	მიღებული დახმარებების რაოდენობა			
	2-ჯერ		3-ჯერ და მეტჯერ	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	98	25 400		
უსახლკაროდ დარჩენილთა დახმარება	3	2 500		
საკვები პროდუქტებით დახმარება	92	8 250	29	4 742
მედიკამენტებით დახმარება	93	12 482	36	7 588
სულ:	286	48632	65	12330

როგორც ცხრილიდან ჩანს, 351 ბენეფიციარს შემწეობა მიღებული აქვს რამდენჯერმე. სოციალური პროგრამების არსიდან გამომდინარე, დახმარების მიღების მსურველთა რაოდენობა აღემატება ამ მიზნით გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2014-2015 წლებში არ დაკმაყოფილდა 1358 განცხადება. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამებში გაწერილი არ არის კონკრეტული კრიტერიუმები, შესაძლოა შემწეობაზე უარის თქმა ატარებდეს სუბიექტურ ხასიათს. სასურველია, მუნიციპალიტეტმა შესაბამისობაში მოიყვანოს პროგრამის მოთხოვნები და დახმარების გაცემის პროცესი.

2. პროგრამების მიხედვით, დახმარების გაცემისათვის სავალდებულოა პირმა წარმოადგინოს შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ან საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ადამიანური რესურსების სიმცირიდან გამომდინარე, სრულად ვერ შეისწავლის მოსახლეობიდან შემოსული თითოეული განცხადების სანდოობას, აღნიშნული პასუხისმგებლობა ნაწილობრივ გადაცემულია გამგებლის წარმომადგენლებზე/საკრებულოს წევრებზე. მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია მუნიციპალიტეტისთვის უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ დამცავ მექანიზმს, რათა სწორად მოხდეს როგორც ბენეფიციარების შერჩევა, ისე არსებული თანხის განაწილება.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დახმარება ძირითადად გაიცემა წერილობითი დასაბუთების გარეშე, მხოლოდ დახმარების მისაღებად მოსახლეობის განაცხადზე გამგებლის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის საფუძველზე. ხშირ შემთხვევაში ხელმოწერა არ იძლევა ხელმოწერი პირის იდენტიფიცირების საშუალებას და ბენეფიციარის რეალური საჭიროებების დასაბუთებას.

მხოლოდ განაცხადზე ხელმოწერა არ არის საკმარისი კონტროლის მექანიზმი, რის გამოც არსებობს სოციალური პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის არამიზნობრივად ხარჯვის რისკი. უმჯობესია დახმარების გაცემისას, მუნიციპალიტეტის მიერ მოხდეს საკრებულოს მიერ დადგენილი მოთხოვნის სრულად გათვალისწინება.

3. სოციალურად დაუცველ, მარტოხელა და შეჭირვებულ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების პროგრამის მიხედვით, დაფინანსების მისაღებად საჭირო ერთ-ერთ დოკუმენტს წარმოადგენს ექიმის მიერ გაცემული საბუთი (რეცეპტი), შესაბამისი მედიკამენტების დასახელებისა და რაოდენობის მითითებით.

აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ მედიკამენტებით დახმარება მუნიციპალიტეტის მიერ ძირითად შემთხვევებში გაცემულია შესაბამისი რეცეპტის გარეშე, მხოლოდ აფთიაქიდან ბენეფიციარის მიერ მოტანილი ამონაწერის მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდება განკარგულების მოთხოვნების დაცვა, არსებობს რისკი იმისა, რომ პროგრამით ისარგებლოს კონკრეტული საჭიროების არმქონე ბენეფიციარმა და დახმარება ვერ მიიღოს რეალური საჭიროების მქონე პირმა. 2014-2015 წლებში ამ პროგრამის ფარგლებში გაცემულია 146.8 ათასი ლარი.

სულ 2014-2015 წლებში სოციალური დახმარების მიღების მოთხოვნით შემოსულია 11736 განცხადება, საიდანაც არ არის დაკმაყოფილებული 12%. შემოსული განცხადებების განხილვა ხდება კომისიის სხდომებზე, სადაც დაკმაყოფილებულ განცხადებებზე დგება ოქმი, ხოლო დანარჩენი ნაწილი განიხილება კომისიის მომდევნო სხდომებზეც. საბოლოოდ ხდება დაუკმაყოფილებელი განცხადებების ჩამოწერა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2014 წლის განმავლობაში განცხადებები ჩამოიწერა 2 ეტაპად, ხოლო 2015 წელს მხოლოდ ერთხელ. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის სექტემბრამდე არსებული ოქმები, როგორც დადებით, ისე უარყოფით გადაწყვეტილებაზე, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა. ასევე, ობიექტის ინფორმაციით, საქმისწარმოების ელექტრონულ ვერსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით, 2015 წლის ივლისიდან არ ხდება კომისიის სხდომის ოქმების წარმოება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი ვერ აფასებს რამდენად ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის მიერ თითოეული ბენეფიციარის მიმართ.

რეკომენდაცია:

- ზემოთ მოყვანილი გარემოებების თავიდან აცილების მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დახმარების გაცემისას სრულად უნდა გაითვალისწინოს თითოეული პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

განკარგულებების არარსებობა

უსახლკაროდ დარჩენილთა დახმარება

თერჯოლის მუნიციპალიტეტი 2014-2015 წლებში ახორციელებდა დაზიანებული სახლის მფლობელების ფინანსურ დახმარებას, თანხით - 166.3 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში აღნიშნული წაროდგენილია „უსახლკაროდ დარჩენილთა პროგრამის“ სახით, თუმცა მისი განხორციელების წესი საკრებულოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული არ არის.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროგრამის განხორციელების საფუძველია გამგეობის მიერ დამტკიცებული „დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისა და დაზიანებული დამხმარე სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მდგომარეობის

შემსწავლელი კომისიის“ დასკვნები. დასკვნის საფუძველზე ხდება დასახმარებელთა კონტიგენტის შერჩევა და დახმარების მოცულობის განსაზღვრა დაზიანების სიმძიმის მიხედვით.

გაცემული დახმარებები თითოეულ ბენეფიციარზე მერყეობს 300 ლარიდან 2000 ლარამდე. თანხები გაიცემა დაზიანებული სახლის შესაკეთებლად, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შემუშავებული შესაბამისი კონტროლის მექანიზმები ბენეფიციარის მიერ თანხის დანიშნულებისამებრ გამოყენების შემოწმებაზე.

იმის გამო, რომ არ არსებობს ბენეფიციარების შერჩევისა და თანხის განაწილების კრიტერიუმები, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლოა შეიცავდეს არაობიექტურობისა და არაერთგვაროვანი მიდგომის რისკს ერთი და იმავე საჭიროების მქონე ბენეფიციარებისთვის.

თანხის განაწილებისა და გაცემის ერთგვაროვანი პრაქტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის არარსებობის გამო, აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ვერ ჩაითვლება საკმარის მტკიცებულებად, გამოყოფილი თანხის სამართლიანი ხარჯვის შესაფასებლად.

უფასო სასადილოთი მომსახურება

უფასო სასადილოთი მომსახურება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების უფასო კვებით უზრუნველყოფას. თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2014 წელს გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდული აქვს 25 სოციალურად დაუცველი პირისთვის ყოველდღიური ერთჯერადი კვების მომსახურების უზრუნველყოფა, ღირებულებით 16.5 ათასი ლარი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გამგეობის საფინანსო სამსახურს ყოველთვიურად ეგზავნებოდა მიმწოდებლის მოთხოვნა გაწეული მომსახურების ანაზღაურების შესახებ, სადაც მითითებული იყო ბენეფიციართა რაოდენობა და მომსახურების ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამა მოქმედებდა 2010 წლიდან, აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა პროგრამის დებულება, ბენეფიციართა დამტკიცებული სია და მათი შერჩევის კრიტერიუმები.

2015 წლის 15 იანვარს საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებით, ამოქმედდა უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების დახმარების პროგრამა, რომელმაც ჩაანაცვლა უფასო სასადილოთი მომსახურება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროგრამის ჩანაცვლება გამოწვეულია იმით, რომ უფასო სასადილოთი სარგებლობდნენ არა რეალური საჭიროების მქონე ბენეფიციარები, არამედ სხვა პირები, ხოლო დამტკიცებული სიის არარსებობის გამო, ვერ ხდებოდა პროგრამის მიზნობრიობის დაცვის კონტროლი.

უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების დახმარების განკარგულების მიხედვით, პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია განისაზღვრა 2014 წელს ერთჯერადი კვების ობიექტით მოსარგებლეებისგან, ხოლო დახმარების თანხა - ყოველთვიურად 50 ლარით. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს გამგეობის მიერ შერჩეული 15-16 ადამიანი.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, რომ მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სოციალური პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარების შერჩევის კრიტერიუმები, ასევე, შემუშავდეს პროგრამის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები.

იჯარა

2015 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 11 ფიზიკურ და იურიდიულ პირს. ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით, დამქირავებელმა თანხა უნდა შემოიტანოს ყოველთვიურად, თანაბარწილად, ხოლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოიჯარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წლიური ქირის 0,1%-ის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიხედვით, დამქირავებლების მიერ გადაუხდელობა თანხამ, პირგასამტეხლოს ჩათვლით, შეადგინა 2.0 ათასი ლარი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება კონტროლი საიჯარო ქირის ამოღების პროცედურებზე, რის გამოც გამგეობაში არ ფლობენ ინფორმაციას წლის განმავლობაში მისაღებ საიჯარო შემოსავლებზე, კონკრეტული პერიოდისათვის არსებულ საიჯარო დავალიანებებსა და მოიჯარეების მიერ განხორციელებულ გადახდებზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 4 ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, ხოლო 9 ადმინისტრაციულ ერთეულში საბანკო მომსახურებას ახორციელებენ სს „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლები. აღნიშნულ ორგანიზაციებთან მუნიციპალიტეტის მიერ ქირავნობის ხელშეკრულებები გაფორმებული არ არის. გარდა შენობებით სარგებლობისა, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება იფარება გამგეობის ხარჯებიდან.

რეკომენდაცია:

- საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტმა სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს საკუთარ ბალანსზე არსებულ შენობებში განთავსებული სხვადასხვა სუბიექტების საქმიანობა, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას იქონიებს მისაღებ შემოსავლებზე.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება

2014 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ მატერიალურ-ფასეულობათა ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, ხოლო 2015 წელს ჩატარებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით²³ შექმნილი კომისიის მიერ. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ფასეულობათა დანაკლისი, ღირებულებით - 43.8 ათასი ლარი, მათ შორის, 23.2 ათასი ლარის წყლის მილები, ავტომობილი „ვაზ 21-011“ -1.8 ათასი ლარი, კომპიუტერული ტექნიკა - 2.7 ათასი ლარი, მუსიკალური სტუდია - 7.0 ათასი ლარი, ვიდეოაპარატურა - 2.5 ათასი ლარი, და 6.6 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა აქტივები. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ

²³ თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 27 ოქტომბრის №45/ 661 ბრძანება.

გამოვლენილი დანაკლისი მოკვლევისათვის გადაცემულია გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურისთვის. ვინაიდან აუდიტის მიმდინარეობისას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოკვლევა არ იყო დასრულებული, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას დანაკლისში არსებული აქტივების მართლზომიერ გამოყენებაზე.

არასწორად კლასიფიცირებული ხარჯები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში, მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯები არასწორადაა კლასიფიცირებული და შეუსაბამოა „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნებთან. კერძოდ:

✓ 2014-2015 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სხვადასხვა სოფლებში არსებულ ამბულატორიებთან. ხელშეკრულების მიზანია სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, რისთვისაც გამგეობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით უზრუნველყოფს დამატებითი სამედიცინო პერსონალის ხელფასს. აღნიშნული თავისი არსით მიეკუთვნება „სუბსიდიის“ მუხლს, რაც მუნიციპალიტეტს გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში. შესაბამისად, სოფლის ამბულატორიების დაფინანსება არ საჭიროებდა გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულების გაფორმებას.

✓ თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2014-2015 წლებში 83.6 ათას ლარად შესყიდული აქვს საინფორმაციო საგამომცემლო მომსახურება, რომელიც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში წრმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული ხარჯის „სუბსიდიის“ მუხლში კლასიფიცირება არასწორია და ნაჩვენები უნდა იყოს როგორც „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

✓ სხვადასხვა მიმწოდებლებთან 2014-2015 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მუნიციპალიტეტს შესყიდული აქვს 480.9 ათასი ლარის ღირებულების გზის მოხრეშვისა (მიმდინარე შეკეთება) და თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოები. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული მიეკუთვნება მიმდინარე ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, ნაცვლად არაფინანსური აქტივების ზრდისა.

✓ 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურება თანხით 32.3 ათასი ლარი, ნაცვლად „სხვა ხარჯების“ მუხლისა, ნაჩვენებია „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლში.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

2015 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას (ამოღება) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე²⁴, ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ზედამხედველობისა და მოსაკრებლების განყოფილება. დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ შეადგინა: 2014 წელს - 0.1 ათასი ლარი, 2015 წელს - 56.9 ათასი ლარი.

საკრებულოს დადგენილების მიხედვით, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნიან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს. აღსანიშნავია, რომ თერჯოლის

²⁴ „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილება.

მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელს იხდიან მხოლოდ იურიდიული პირები, ხოლო ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება შესაბამისი სამსახურის მიერ არ ხორციელდება. არსებული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები სრული შემოსავლის მობილიზებას, რომლის ამოღებაც შესაძლებელია შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში.

შიდა აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოები

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში 2014 წლის 1 იანვრამდე უნდა შექმნილიყო შიდა აუდიტის სამსახურები. თერჯოლის მუნიციპალიტეტში, გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური შექმნილია დაგვიანებით, 2014 წლის 12 სექტემბერს, რითაც დარღველია აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

2014 წელს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულია - 4, ხოლო 2015 წელს - 37 აუდიტი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა, ჰარმონიზაციის ცენტრისა და დაწესებულების ხელმძღვანელისათვის წლიური ანგარიშის წარდგენის შესახებ, 2014 წელს არ არის შესრულებული.

შემოწმების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის“ ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ სოფლებში არსებულ ადმინისტრაციულ შენობებში შეთანხმების გარეშე განთავსებულია ს/ს „ლიბერთი ბანკის“ ფილიალები, რომელთა კომუნალურ გადასახადებს იხდის გამგეობა. მიუხედავად გამოვლენილი გარემოებისა, გამგეობას აღნიშნულზე რეაგირება არ მოუხდენია.

აუდიტის ანგარიშში ასევე დაფიქსირებულია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე, რიგ შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთების გარეშე გაცემულია სოციალური დახმარებები, მაგალითად:

- დაზიანებული საცხოვრებელი სახლის საკომპენსაციოდ, დაზიანებული შენობა-ნაგებობების შემსწავლელი კომისიის ერთ-ერთი წევრის მეუღლეზე, სოფელ ახალთერჯოლაში მცხოვრებზე სათანადო დასაბუთების გარეშე 2015 წლის 25 მაისს დახმარების სახით გაცემულია 500 ლარი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ შიდა აუდიტის მსჯელობით, რიგ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის დაზიანებების საკომპენსაციოდ თანხები გაცემულია დაზიანების ფაქტების შესწავლისა და დასაბუთების გარეშე.
- სოფელ ნახშირღელეში მაცხოვრებელს ერთჯერადი ფინანსური დახმარებს სახით 2014 წელს მიღებული აქვს 500 ლარი, ხოლო 2015 წელს - 200 ლარი. ბენეფიციარის განმარტებით, მიღებული თანხებიდან ორივე შემთხვევაში, ნაწილის დახარჯვა მას მოუწია „უბნის საქეიფოდ“.
- 2014-2015 წლებში რიგ შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის გარეშე, გაცემულია ფინანსური დახმარებები 200-დან 500 ლარის ფარგლებში.

მიუხედავად გამოვლენილი გარემოებებისა, მუნიციპალიტეტს აღნიშნულ საკითხებზე უმეტეს შემთხვევაში სამართლებრივი რეაგირება არ მოუხდენია.

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის ანგარიშებში განხილული არ არის მუნიციპალიტეტის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ და მიზნობრივ ხარჯვას. მიზანშეწონილია, შიდა აუდიტის სამსახურმა შემდგომ პერიოდებში გაითვალისწინოს აღნიშნული საკითხები და აუდიტის გეგმა შეადგინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა



11.05.2016

აუდიტორი:

თამთა გელაშვილი



11.05.2016

აუდიტორი:

ქრისტინე ეკალაძე



11.05.2016

აუდიტორი:

ლელა მიქაძე



11.05.2016

აუდიტორ-ასისტენტი



11.05.2016

ირაკლი კოხრეიძე

აუდიტორ-ასისტენტი



11.05.2016

ალეკო იოზიძე